საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტურიზმის ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1.მღებრიშვილი ბაბულია, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე
2.ყორღანაშვილი ლარისა, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
3.ცინცაძე ასიე, ბსუ-ს პროფესორი
4.ბერიძე როსტომ, ბსუ-ს პროფესორი--მდივანი

დღის წესრიგი:

1. თითოეული კონკურსანტის შეფასება *,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების N4 დანართის* ,,კონკურსანტის შეფასების ფორმის" *მიხედვით* და მათთვის პრეტენდენტების სტატუსის განსაზღვრა.
2. პრეტენდენტის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პრეტენდენტებთან გასაუბრების განრიგის დამტკიცება.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის* თანახმად, კონკურსანტის შეფასების ფორმის <u>პირველი კატეგორიის</u> უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის <u>კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.</u>

კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს, ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით კონკურსანტის შეფასების ფორმის მე-2 და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება არანაკლებ ,,საშუალო", ანიჭებს კონკურსანტს პრეტენდენტის სტატუსს.

შეფასების შედეგად შედგენილი უნდა იქნეს იმ კონკურსანტთა/პრეტენდენტთა სია, რომლებიც ამ წესისა და კონკურსანტისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში (შემდეგ ეტაპებზე) და იმ კონკურსანტთა სია, რომლებიც კონკურსის პირობებთან არათავსებადობის გამო მოიხსნებიან კონკურსიდან (ასეთ შემთხვევაში).

მოცემულ შემთხვევაში განსახილველია/შესაფასებელია 6 (ექვსი) კონკურსანტის განცხადება თანდართული დოკუმენტებით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ კომისიაში წარმოდგენილი განცხადებები შემოტანილია შემდეგი კონკურსანტების მიერ:

N	დარგობრივი დეპარტამენტი	დარგი/მიმართულება	საკონკურსო საშტატო ერთეული	კონკურსანტები
1	ტურიზმი	ტურიზმი	ასოცირებული პროფესორი	ვახტანგ მიქაშავიძე
2	ტურიზმი	ტურიზმი	ასოცირებული პროფესორი	პაატა ჩაგანავა
3	მასპინძლობის მენეჯმენტი	მასპინძლობის მენეჯმეტი	ასოცირებული პროფესორი	ეკატერინე ბახტაძე
4	მასპინძლობის მენეჯმეტი	მასპინძლობის მენეჯმეტი--	ასისტენტი	ნინო დევაძე
5	მასპინძლობის მენეჯმეტი	მასპინძლობის მენეჯმეტი--	ასისტენტი	სალომე სულაბერიძე
6	მასპინძლობის მენეჯმეტი	მასპინძლობის მენეჯმეტი--	ასისტენტი	კობა ჯუმუშაძე

კომისიის წევრებმა ერთობლივად იმსჯელეს და შეაფასეს კონკურსანტები და შეფასების შედეგი ასახეს ,,კონკურსანტის შეფასების ფორმებში". აღნიშნულის შემდეგ, ღია კენჭისყრით, კომისიამ ერთხმად

<u>დაადგინა:</u>

1. დამტკიცდეს იმ პრეტენდენტთა სია და მათთან გასაუბრების განრიგი, რომლებიც დაშვებულნი არიან შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. მათვე განემარტოს, რომ საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გასაუბრებაზე გამოცხადებულ კონკურსანტს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება (დანართი 1);
2. დამტკიცდეს იმ პრეტენდენტთა სია, რომლებთაც არ მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და არ არიან დაშვებულნი შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე (დანართი 2). გამოცხადებული ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტის შეფასების ანკეტის პირველი კატეგორიასთან შეუსაბამოა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე, ასოც. პროფესორი **ბ.მღებრიშვილი**

მდივანი, პროფესორი **რ.ბერიძე**